



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია  
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ზუგდიდის ოფისი  
ZUGDIDI OFFICE

ღაღიძის ქ. #3, ზუგდიდი, საქართველო, 2100; ტელ/ფაქსი: (415) 227770; ელ-ფოსტა: zugdidi@gyla.ge, ვებ-გვერდი: www.gyla.ge  
3, Lagidze str. Zugdidi, Georgia, 2100; Tel/fax: (415) 227770; E-mail: zugdidi@gyla.ge, Web: www.gyla.ge

№ კ-01/36

30 თებერვალი 2014 წ.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის

რექტორს ქ-ნ თეონა ხუფენიას

ქალბატონო თეონა,

გვსურს გაცნობოთ, რომ 2014 წლის 22 სექტემბერს ქალაქ ზუგდიდში გაიხსნა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფისი, რომელიც მოემსახურება სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონს. ჩვენი ორგანიზაცია ლიბერალურ ფასეულობებზე დაფუძნებული ორგანიზაციაა და ჩვენ ვხელმძღვანელობთ კონსტრუქციული დიალოგის, თანამშრომლობისა და ჯანსაღი კრიტიკის პრინციპით. ჩვენი საქმიანობა ეფუძნება კანონის წინაშე თანასწორობას და დისკრიმინაციისაგან თავისუფალია.

ჩვენი სტრატეგიული ამოცანებია, ადამიანის უფლებების დაცვა, დაცვის მექანიზმების განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დისკრიმინაციის გარეშე; საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება; ეფექტიანი, გამჭვირვალე, ანაგარიშვალდებული მმართველობის ხელშეწყობა და კვალიფიციული, უწყვეტი იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ზუგდიდის ოფისი მზად არის ითანამშრომლოს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან ჩვენი მიზნებისა და სტრატეგიული ამოცანების შესაბამისად.

პატივისცემით,  
საიას ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელი

ნინო ხუბუა